ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტიკის მეცნიერება

დაჩი ხაჩიძე

2022 წლის რუსეთ–უკრაინის ომი: საინფორმაციო ომის გავრცელების გზები და მეთოდები.

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2023 წელი.

ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი ორიენტირებულია, რუსული საინფორმაციო ომის მეთოდებისა და გავრცელების გზების შესწავლაზე, 2022 წელს დაწყებულ რუსეთ–უკრაინის ომში.კვლევის ფარგლებში, განვიხილავ რუსული საინფორმაციო ომის იმ მაგალითებს, რომლებიც უკრაინასთან ომში გამოიყენა რუსულმა მხარემ. ამასთანავე განვიხილავ ოფიციალურ დოკუმენტებს, სადაც ასახულია რუსული საინფორმაციო ომის მუშაობა.კვლევის ძირითადი მიზანია, დავადგინო რომელი გზებითა და მეთოდებით ხდება რუსული საინფორმაციო ომის მუშაობა.რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლის პროცესშიც გამოვკითხე დარგის ექსპერტები. ამასთანავე კვლევის ძირითად ნაწილში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ასახულია ცხრილსა და დიაგრამაში.

სარჩევი:

შესავალი..... 4

თავი I - საინფორმაციო ომი: თეორიული ასპექტები..... 9

1.1საინფორმაციო ომის რუსული თეორია..... 15

თავი II - რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა:შემთხვევათა..... 18

ანალიზი 18

თავი III - მასობრივი და სოციალური მედიის როლი რუსულ საინფორმაციო ომში 26

3.1 თავი–რუსული კიბერ–ომი მუშაობა უკრაინაში 29

დასკვნა 33

გამოყენებული ლიტერატურა 35

დანართი:..... 37

შესავალი

21–ე საუკუნეში საინფორმაციო ომი უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს მსოფლიოსთვის. საკითხის აქტუალობაში დავრწმუნდებით თუ გადავხედავთ 2022 წელს უკრაინაში, პუტინის მიერ დაწყებულ ომს. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ომში მოიაზრება ოპონენტთა წინააღმდეგ სხვადასხვა საინფორმაციო ტაქტიკის გამოყენება. იგი მოიცავს საკუთარი საინფორმაციო სივრცის კონტროლს, ინფორმაციაზე წვდომის დაცვას, მოწინააღმდეგის ინფორმაციის მოპოვებასა და გამოყენებას. საინფორმაციო ომის აქტუალურობა მეტად თვალსაჩინოა თუ გადავხედავთ იმ ფაქტს, რომ ტექნოლოგიათა მუდმივი განვითარებისა და კონფლიქტთა ახალი სახეობების გამოჩენის ფონზე, სოციალური და სატელევიზიო მედია მუდმივად აქტიურ და მზარდ საინფორმაციო გარემოს ქმნის, სადაც შეუძლია საზოგადოების ყველა ფენას ჩაერთოს და გახდეს როგორც ინფორმაციის მიმღები ასევე გამტარი. აღნიშნული კი ქმნის გარემოს, რომელშიც საკუთარი სურვილისამებრ ჩართულია ყოველი სოციალური სტატუსის, ასაკის, განათლებისა თუ შეხედულების მქონე ადამიანი. აღნიშნული კი მიმდინარეობს 24–საათიან პროცესში, სადაც ინფორმაციათა ჭარბი ნაკადი როგორც შეედინება ასევე გაედინება, ხდება ინფორმაციათა ხელოვნური და ბუნებრივი აკუმულირება. ამიტომაცაა, რომ აღნიშნული ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე.

ინფორმაციის ზეგავლენა, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვისაც. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ინფორმაციის გავრცელებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა (მაისაია, მაღრაძე, 2017).თუმცა აღსანიშნია ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციამ და ინფორმაციის გავრცელების საშუალებებმა მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავა. სწორედ ინფორმაციაა სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებებში ერთ–ერთი გამწევი ძალა(ექსპერტი #1). როგორც წესი გამარჯვებაც მისია ვინც საინფორმაციო იარაღს ფლობს. აქედან გამომდინარე კი ომში ჩაბმული ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები დღენიადაგ ცდილობენ შექმნან და გაავრცელონ ინფორმაცია, რომელიც საკუთარ ინტერესს იქნება მოხმარებული. ზემოთხსენებულიდან კი აშკარად ჩანს, რომ თანამედროვე ეპოქაში

განსხვავებულია საომარი სტრატეგიები, ხშირად აღარაა მოქნილი ტანკებისა და საბრძოლო ჯავშან–მანქანების გამოყენება საბრძოლო საშუალებად. ამიტომაც ვფიქრობ აუცილებელია გვესმოდეს, რომ „თანამედროვე მსოფლიოში ომის წარმართვის კონცეფცია მნიშვნელოვნადაა შეცვლილი და მომგებიანია ფლობდე ვალიდურ მონაცემებს მოცემულ ქვეყანაში მსოფლიოსა თუ ადგილობრივი მედიის სამიზნე აუდიტორიების სპეციფიკის შესახებ" (ქოქოშვილი, 2021)იმის გათვალისწინებითაც, რომ საინფორმაციო ომი მეტად ასიმეტრიული და მოქნილია. საინფორმაციო ომის პროცესში არ ხდება არანაირი „ცხელი" საომარი მოქმედებები, ეთნიკური წმენდები, ქალაქებისა და შენობების ნგრევა, ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სამეცნიერო და პოლიტიკური წრეები აქტიურად დავობენ, ზემოთ ნახსენები საკითხის მასშტაბებზე და საფრთხეებზე. უნდა ვთქვა ის ფაქტიც, „რომ საინფორმაციო ომის მეტად აქტუალორობა გამოიწვია, 2023 წლის 24 თებრვალს, მეზობელ უკრაინაში რუსეთის თავდასხმამ"(ექსპერტი #2). რუსული მხარე სრულმასშტაბიან შეჭრამდეც ცდილობდა დეზინფორმაციისა და კიბერ–თავდასხმების დახმარებით, ნიადაგი შეემზადებინა მოსალოდნელი აგრესიისთვის. რუსული „სამხედრო ოპერაცია" ამჟამადაც მიმდინარეობს აქტიურად და კიდევ ხშირია საინფორმაციო ომის ელემენტების გამოყენება.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ რუსეთ–უკრაინის 2022 წლის ომში რა ხერხებით, მეთოდებითა და დამხმარე საშუალებებით ხდება საინფორმაციო ომის წარმოება რუსული მხარისგან.

კვლევის ამოცანები

1. კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, საინფორმაციო ომის რაობისა და მნიშვნელობის შესწავლა რუსეთ–უკრაინის ომის პროცესში.
2. ერთ–ერთი მთავარი ამოცანა იყო დაგვედგინა თუ რომელი საინფორმაციო საშუალებები გამოიყენება საინფორმაციო ომის პროცესში რუსული მხარისგან, 2022 წელს დაწყებულ ომში.
3. კვლევის ერთ–ერთ ამოცანას წარმოადგენდა, დაგვედგინა თუ რა სახის რესურსი სჭირდება საინფორმაციო ომის წარმოებას.

4. როგორი სახის საშუალებებს იყენებს რუსეთი უკრაინასთან ბრძოლაში.
5. რამდენადაა საინფორმაციო ომისგან თავდაცვა შესაძლებელი, საკუთრივ საინფორმაციო ომის დახმარებით.
6. რამდენად, პროპორციულია საინფორმაციო ომის წარმატება, საბრძოლო ოპერაციის წარმატებასთან.
7. ბოლო საკვლევი ამოცანაა დაგვედგინა, რეალურად იკავებს თუ არა საინფორმაციო ომი საბრძოლო ველის ე.წ „მეოთხე სივრცეს“

აღნიშნული კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს შემდეგი **საკვლევი კითხვა:**

რა მეთოდებითა და საშუალებებით ხდებოდა საინფორმაციო ომის წარმოება 2022 წელს, რუსული მხარისგან უკრაინაში შეჭრის შემდეგ.

კვლევის ჰიპოთეზა.

2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საინფორმაციო ომის პროცესში ყველაზე ხშირად ხდებოდა დეზინფორმაციის გავრცელება და მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა.

აღნიშნული ნაშრომის **თეორიულ ჩარჩოს** კი წარმოადგენს კარლ კლაუზევიცის სტრატეგიის თეორია, რომელიც მის ერთ–ერთ ნაშრომში: „ომზე” აქვს წარმოდგენილი. აღნიშნული ნაშრომი სტრატეგიის პრინციპების ასახვასთან ერთად გვთავაზობს, რამდენიმე ეტაპს ომში გასამარჯვებლად.მათ შორის კი ყურადსაღებია მოწინააღმდეგის ნების დამორჩილება. სწორედ საინფორმაციო ომის მეშვეობით ხდება აღნიშნული ეტაპის განხორციელება. ამასთანავე აღნიშნულ თეორიაში ვხვდებით საბრძოლო სტრატეგიის ისეთ შინაარსს, სადაც გამოკვეთილად ჩანს საბრძოლო ჰიბრიდიზაციის აუცილებლობა, წარმატების მისაღწევად. სტრატეგიის თეორია აყალიბებს შემდეგ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ისტორიაში ყველა ომი ატარებს საერთო მახასიათებლებს. რასაკვირველია ზემოთაღნიშული ცალსახად ძალიან ფართო და ყოვლისმომცველია. აღნიშნული კი იწვევს სხვადასხვა მეცნიერს შორის საკითხისადმი აზრთა სხვადასხვაობას: მაგალითად ოსინგასთვის სტრატეგიული თეორია მოიცავს მოსაზრებებს, ეფექტური სტრატეგიის შემუშავების შესახებ (Osinga, 2005). ხოლო ჰოფმანის აზრით კლაუზევიცის სტრატეგიული თეორია შეიცავს ჰიბრიდული ომის მეთოდებს მათ შორის

საინფორმაციო ომებს (Hoffman, 2007). საბოლოო ჯამში კი აღნიშნული თეორიით საინფორმაციო ომის ახსნა მიზანშეწონილად მიმაჩნია, რადგან ჰიბრიდიზაცია და საინფორმაციო გზებით ბრძოლა მეტწილად ყველა ომისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ეშევარია აღნიშნავს ეს უკვე იქცა ნორმად (Echevarria., 2007). აღნიშნულ ფაქტში დავრწმუნდებით თუ გადავხედავთ რუსეთის ომს უკრაინაში 2022 წელს.

თემის ანალიზისას გამოვიყენე თვისებრივი კვლევის **მეთოდოლოგია** ტექნიკა, მათ საკითხთან არსებული თეორიული მასალის განხილვა და დასკვნების გამოტანა.საკითხის ანალიზისას გამოვიყენე მეორეული ლიტერატურა, საინფორმაციო ომის შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების, ნაშრომებისა და თეორიების სახით. კვლევის პროცესში ასევე გამოვიყენე, სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მაძლევდა ამა თუ იმ მოსაზრებაზე ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შემდეგ კი გამოვიყენე, პროცენტული განაწილების მქონე დიაგრამა, სადაც ზემოთაღნიშნული სტატისტიკური მონაცემები დავამუშავე და გადმოვიტანე რუსულ საინფორმაციო ომთან დაკავშირებით. ამასთანავე აღნიშნული კვლევის პროცესში ჩავატარე რესპონდენტთა გამოკითხვა, სიღრმისეულ ინტერვიუს დახმარებით, კერძოდ ნახევრად სტრუქტურირებული მოდელით, რომელიც დამეხმარა აღნიშნულ საკითხთან მდგომი მკვლევრებისა და სტრუქტურების მოსაზრების დასადგენად. უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ინტერვიუები ჩატარდა პირისპირ კონფიდენციალურობისა და ეთიკის სტანდარტის დაცვით. სულ ჩატარდა 3 ინტერვიუ, აღნიშნულ ინტერვიუებში რესპონდენტებს წარმოადგენდნენ, დარგის ექსპერტები და მკვლევრები, რომელთაც საინფორმაციო ომთან დაკავშირებით აქვთ ნამუშევარი. აღნიშნულ ეტაპზე შერჩევა მოხდა მიზნობრივი და არა შემთხვევითი შერჩევის ექსპერტული მოდელით, რაც განპირობებული იყო უშუალოდ საკვლევი თემის ირგვლივ მყოფი რესპონდენტებისა და მასალების კვლევით.

კვლევის ლიმიტი: კვლევის პროცესში მოხდა რუსული საინფორმაციო ომის მეთოდებისა და გზების მოკვლევა და ანალიზი. თუმცა ვერ მოხერხდა რუსული საინფორმაციო ომის კვლევა სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის კი საქართველოსთან მიმართებაში. ასევე კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა, რუსულ საინფორმაციო ომში, უკრაინული მხარის მიერ თავდაცვითი

ოპერაციების განხილვა და ანალიზი. ამასთანავე კვლევისათვის საჭირო აღმოჩნდა, რუსული საინფორმაციო ომი უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვლიდან.

ლიტერატურის მიმოხილვა.

აღნიშნულ შემთხვევაში მინდა გამოვყო რამდენიმე ნაშრომი, რომელიც საკითხის უკეთ გასააზრებლად დაგვეხმარება. სუნ ძის „ომის ხელოვნება“, რომელშიც ნათლადაა ასახული მოწინააღმდეგის დამარცხების სტრატეგია ბრძოლის გარეშე. აღნიშნულ ავტორს გავყავართ მიგნებამდე, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარ სამხედრო ოპერაციებში, წარმატების პირობაა მეტი საინფორმაციო და ჰიბრიდული სტრუქტურის ჩართვა (SUNTZU, 2000). ამასთანავე საინტერესოა ნაშრომი, სადაც დეტალურადაა განხილული საინფორმაციო ომის მუშაობა და კიბერ სივრცეში მიმდინარე აქტივობებები, რომლებიც უშუალოდ ნაწილია ჰიბრიდული ომისა. აღნიშნულ წიგნში ავტორი გვთავაზობს საინფორმაციო ომის ძირითად მახასიათებელ ნიშნებს და მეთოდებს, ამასთანავე ავტორი მკვეთრად უსვამს იმ ფაქტს ხაზს, რომ საინფორმაციო ომი თავისი ბუნებით ნაწილია ჰიბრიდული ომისა (Libicki, 1995). ნაშრომში–„Cyberwar and Information warfare” ავტორი ამბობს, რომ საინფორმაციო ომი მეტად რეაქტიული ხასიათისა, ამასთანავე იგი გამოყოფს ფსიქოლოგიურ ომსა და მას ანიჭებს ადამიანის ქცევებზე გავლენის მოხდენის ინსტრუმენტის სახელს (Ventre, 2011). საინფორმაციო ომთან დაკავშირებით ასევე საინტერესო ცოდნას გვაძლევს, რალფ პიტერსი. მის ერთ–ერთ ნაშრომში: „The war in 2020” იგი ხაზს უსვამს ინფორმაციას, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან რესურსს (Ralph, 2020). ამასთანავე ავტორი ამყარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ინფორმაციით მანიპულირებამ ომში მტერზე უპირატესობა უნდა მოიპოვოს.

თავი I - საინფორმაციო ომი: თეორიული ასპექტები

ჰიბრიდულ ომებსა და მის მთავარ კომპონენტზე საინფორმაციო ომზე, ცივი ომის შემდგომ პერიოდში საკმაოდ დიდი ინტერესი გაჩნდა მკვლევართა მხრიდან. სამეცნიერო ნაშრომების, სტატიებისა და კვლევების პარალელურად ყალიბდებოდა თეორიებიც, რომლებიც საინფორმაციო ომს განიხილავდა და შესაბამისად, უმზადებდა თეორიულ საფუძველს. თეორეტიკოსთა დიდი ნაწილი, რომლებიც პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად ინფორმაციის მნიშვნელობაზე წერენ, აუცილებლად ახსენებენ სუნ ძის „ომის ხელოვნებასა“ და ნიკოლო მაკიაველის „სამხედრო ხელოვნების შესახებ (მაკიაველი, 2022). ორივე ნაშრომის ძირითადი აზრი გადის იმ მიგნებამდე რასაც მოწინააღმდეგის ბრძოლის გარეშე დამარცხება ან ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობის ზრდა გულისხმობს.

საინფორმაციო ომს, როგორც საბრძოლო საშუალებას მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, როგორც თავდაცვით და არა რეაქტიულ საბრძოლო საშუალებად. მაგალითად: ლიბიკი საკუთარ ნაშრომში: „what is information warfare” (Libicki, 1995) საუბრობს, რომ საინფორმაციო ომს გააჩნია არათუ შემტევი და რეაქტიული ხასიათი, არამედ ეს არის უფრო თავდაცვითი ხასიათის ომი. ამ შემთხვევაში კვლევისთვის არაფერს არ ცვლის აღნიშნული ფაქტი, ვინაიდან ლიბიკი ასევე ხაზს უსვამს, რომ საინფორმაციო ომი როგორც საშუალება ხელსაყრელი საბრძოლო ხერხია, რომელსაც შეუძლია მოწინააღმდეგეზე ზეგავლენა. ამასთანავე ლიბიკი აღნიშნულ ნაშრომში გვთავაზობს საინფორმაციო ომის შესახებ კონცეფციას, რომელიც შედგება 7 ასპექტისგან: კონტროლისა და მართვის ბრძოლა, ელექტრონული ბრძოლა, სადაზვერვო ბრძოლა,ფსიქოლოგიური ომი, ჰაკერული თავდასხმები, კიბერ ბრძოლა. აქედან კი კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა: ფსიქოლოგიური ომი, რომელიც რასაკვირველია მოიაზრებს ფსიქოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას. ვინაიდან საომარ მდგომარეობაში უმნიშვნელოვანესია მოწინააღმდეგისა და საკუთარი სამხედრო ნაწილების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ამას არაერთი ავტორი მოწმობს. მაგალითად ნიკოლო მაკიაველი ხაზგასმით საუბრობს იმ ფაქტზე, რომ აუცილებელია არამხოლოდ მტრის არამედ საკუთარი ჯარის მოტივირებაც: „არასდროს არ შეიყვანო ბრძოლაში ჯარი,

რომელსაც მტრის ეშინია“ (**მაკიაველი, 1521**). ამასთანავე აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ხაზს უსვამს მეტად საინტერესო დეტალს, საინფორმაციო ომის ხასითის შესახებ. ლიბიკის აზრით საინფორმაციო ომი არ უნდა იქნას სეპარირებული უშუალოდ სამხედრო ოპერაციებისგან. აღნიშნულის შესახებ სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად ფიქრობს. ზოგიერთის აზრით პირიქით საინფორმაციო ომი აუცილებლად გამოყოფილი უნდა იყოს სამხედრო ოპერაციებისგან. აღნიშნულზე როდ თორტონი კი რადიკუალურად სხვა ახსნას გვთავაზობს: მისი აზრით, საინფორმაციო ომი უფრო მეტი მნიშვნელობისაა ვიდრე კინეტიკური სამხედრო ოპერაციები, მეტიც ავტორის აზრით კინეტიკური ომი ეს არის საინფორმაციო ომისათვის ნიადაგის შემზადება და გზის გასუფთავება (Thornton.R, 2005)

ცხადია, საინფორმაციო ომს როგორც ყველა სხვა საბრძოლო საშუალებას, ჭირდება სამიზნემდე მისასვლელი გზა. უმეტეს შემთხვევაში საინფორმაციო ომის წარმოებისას აღნიშნულს ენიჭება ყველაზე დიდი მნიშვნელობა, რადგანაც მიმართულების არასწორმა განსაზღვრამ და მოწინააღმდეგემდე მისასვლელმა გზამ შესაძლოა „საინფორმაციო ოპერაცია“ სრულიად ჩააგდოს. ამიტომაც ხშირია განხილვა საინფორმაციო ომის გზებზე.დარგის მკვლევრებში არ წყდება დისკუსია იმის შესახებ თუ რა სახის გამტარებითაა შესაძლებელი ინფორმაციის შედინება მოწინააღმდეგემდე. საინტერესო ახსნას გვთავაზობს ბიტმანი ზემოაღნიშნული პროცესის შესახებ, მან გამოყო რამდენიმე სახის სქემა, აქედან კი კვლევისთვის ყურადსაღები მეოთხე სახის სქემა აღმოჩნდა. ბიტმანს შემოაქვს ოპერატორის, მოწინააღმდეგისა და გავლენის აქტორის დასახელებები, ავტორის აზრით ამ შემთხვევაში საინფორმაციო ომის წარმოება უნდა დაიწყოს ე.წ დამკვეთისგან ანუ ოპერატორისგან, რომელიც ზემოქმედებს გავლენის აქტორზე ყალბი ინფორმაციით, სიძულვილის ენით, უარყოფის პოლიტიკითა თუ სხვა მეთოდებით, რომელიც უპირისპირდება ოპერატორის მოწინააღმდეგეს (bittman, 1985). ერთი შეხედვით ადვილი და მოძველებული სტრუქტურაა, მაგრამ საინტერესოა ერთი ფაქტი: აღნიშნულ მოდელში ბიტმანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოპერატორისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არა მხოლოდ მოწინააღმდეგეს უპირისპირდება გავლენის აგენტი, არამედ შემდეგ ხდება ორივე მხარისათვის შეუქცევადი დაპირისპირება. მეტიც

გავლენის აგენტი უმეტეს შემთხვევაში თვითონ ხდება საინფორმაციო ომისგან მეტად დისკრედიტირებული ვიდრე მოწინააღმდეგე.

საინფორმაციო ომის გავრცელების გზებზე საუბრისას, ვფიქრობ აუცილებელია ვახსენო ჩინელი სამხედრო ანალიტიკოსისა და პოლკოვნიკის ერთობლივი ნაშრომი „შეუზღუდავი ომი“, რომელშიც ცალსახადაა საინფორმაციო ომის პრინციპები და მიდგომები ასახული. აღნიშნული ავტორები გვთავაზობენ ჰიბრიდულ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც ჩინეთმა უნდა შეძლოს მასზე აღმატებული სხვა სახელმწიფოების დამარცხება. ამ შემთხვევაში ისინი ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ საინფორმაციო ომის პირობებში, ინფორმაციის გასავრცელებლად მისაღებია ყოველგვარი გამავრცელებელი საშუალების გამოყენება. ავტორები გვთავაზობენ რომ შეუზღუდავი ომის პირობებში დავივიწყოთ ყოველგვარი წესები, რათა ინფორმაცია გავავრცელოთ ეფექტურად, ვინაიდან გლობალიზაციამ და მზარდმა ტექნოლოგიურმა პროცესებმა შეცვალეს ტრადიციული საომარი გზები და გვაქვს საშუალება ავითვისოთ ინფორმაციის ნებისმიერი გამტარი საშუალება (Xiangsui, Liang , 1999).

მაღრაძე და მაისაია ერთობლივ ნაშრომში ” 21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა, რეგიონალური და გლობალური ასპექტები“ საინფორმაციო ომის გავრცელების მეთოდებზე საუბრისას ხაზს უსვამენ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. მკვლევრები საინფორმაციო ომის მუშაობისას ტექნიკური და მატერიალური რესურსზე მეტ პრიორიტეტს ადამიანურ რესურსს ანიჭებენ, რომელიც უნდა შედგებოდეს კვალიფიციური კადრისაგან. მათი აზრით უფრო მეტად მნიშვნელოვანია გავლენის აგენტი და არა ინფორმაციის რეალურობა და ტექნიკური უზრუნველყოფა (მაისაია, მაღრაძე, 2017). აღნიშნულ ნაშრომში ასევე განხილული აქვთ, ის მეთოდები რომლებითაც საინფორმაციო ომი მუშაობს: ტელევიზიისა და რადიოგადამცემების ჩახშობა, დეზინფორმაციის გავრცელება, ლოგისტიკური ქსელების დახშობა და მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა. ჩემი აზრით ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან ყველა მეტნაკლებად მსგავსი მნიშვნელობის მატარებელია, რომლებიც ქმნიან ერთიანი მუშაობის სისტემას, რაც საბოლოოდ ზემოქმედებს ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე და ნების დამორჩილებაზე.

საინფორმაციო ომის გავრცელების გზებზე და მეთოდებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საინფორმაციო ომის გავრცელებასთან და მეთოდოლოგიასთან დიდ კავშირშია იმ ქვეყნის პოლიტიკური კულტურა, რომელის მიმართაც არის მიმართული. რასაკვირველია, დიდ მნიშვნელობას იკავებს ასევე გეოგრაფიული დეტერმინიზმი, რომელიც რიგ შემთხვევაში ხდება როგორც ხელისშემშლელი ასევე შემწყობი ფაქტორი სხვადასხვა პოლიტიკური სისტემისა და კულტურისათვის, რაც უდავოდ აისახება საინფორმაციო ომის მეთოდებზე. ამას ეხმიანება ჰალინისა და მაჩინის ერთობლივი ნაშრომი „Comparing Media Systems: Three Models of Media and Politics." სადაც ხაზგასმითაა საუბარი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მედია სისტემები და სტრუქტურები ისტორიის განმავლობაში ურთიერთგანსხვავებულად ყალიბდებოდა (Hallin.B.D mancini.P, 2004), შესაბამისად საინფორმაციო ომის გავრცელებაზე და მეთოდოლოგიაზეც სხვადასხვანაირად ისახებოდა.

სზეფრანსკი, მის ნაშრომში „Preparing For 2020" აყალიბებს თეორიას საინფორმაციო ომის შესახებ, სადაც ავტორი საუბრობს საინფორმაციო ომის ზოგად მახასიათებლებზე და ბუნებაზე. სზეფრანსკი თვლის რომ საინფორმაციო ომის პროცესში, მოწინააღმდეგედ შეგვიძლია მოვიაზრო ყველა ვინც „ოპერატორის" ნებას ეწინააღმდეგება (Szefranski, 1995). ავტორის აზრით, საინფორმაციო ომი არის მტრული მოქმედება, რომელიც მიმართულია ცოდნისა და რწმენის სტრუქტურის ნებისმიერი ასპექტის წინააღმდეგ.საინფორმაციო ომი არის მტრული მოქმედება, რომელიც მიმართულია ცოდნისა და რწმენის სისტემების ნებისმიერი ნაწილის წინააღმდეგ. ავტორის აზრით საინფორმაციო ომი არის, მოწინააღმდეგისეულ რეალობაზე და აზროვნებაზე დაფუძნებული და გათვლილი მეთოდი, რასაც მე სწორად ვერ ჩავთვლიდი, რადგან უმეტეს შემთხვევაში საინფორმაციო ომით, პირიქით მოწინააღმდეგის რეალობასა და რეალობის აღქმას ეწინააღმდეგება და სთავაზობს საპირისპირო ხედვას. სზეფრანსკი ამავე ნაშრომში ასევე გვთავაზობს სხვა ექსპერტებისგან მეტად განსხვავებულ მიდგომას საინფორმაციო ომთან დაკავშირებით. მისი აზრით საინფორმაციო ომი ჯდება ეთიკურობის ფარგლებში, კერძოდ: როდესაც გენერალი, პრემიერი თუ უბრალოდ რიგითი საჯარო მოხელე ხდება საინფორმაციო ომის მსხვერპლი. ამ შემთხვევაში

საინფორმაციო ომის მწარმოებელი არ ითვლება არაეთიკურ ადამიანად, რადგანაც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მოხელემ წინასწარვე იცოდა მსგავსი საფრთხის შესახებ და ნებაყოფლობით ერთვებიან საკუთარ სამსახურში.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს, აღნიშნული თეორია გულისხმობს „სტრატეგიის თეორიას“ რომელიც ეკუთვნის ცნობილ სამხედრო თეორეტიკოსსა და გენერალს, კარლ ფონ კლაუზევიცის. ავტორმა აღნიშნული თეორია შემოგვთავაზა მის ერთ–ერთ ნაშრომში: „ომზე“ (Clausewitz., 2022) აღნიშნული წიგნი მოიაზრება ერთ–ერთ თვალსაჩინო ნაშრომად სამხედრო ფილოსოფიისა და პოლიტიკის დაგეგმვის დარგში. აღნიშნული თეორია ძირითადად მიმართულია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალის გამოყენებაზე. ავტორის აზრით–ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, რაც შეეხება „ინსტრუმენტს“ მისი აზრით, ყოველგვარი გზა შეგვიძლია მოვიაზროთ სამხედრო მოქმედებად, რომელიც სამხედრო ოპერაციებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ხელს შეუწყობს. იმის და მიუხედავად, რომ კლაუზევიცი უშუალოდ საინფორმაციო ომს არ ახსენებს აღნიშნულ თეორიაში მისი რამდენიმე კონცეფცია რომელიც აღნიშნულ თეორიაში აქვს წარმოდგენილი შეიძლება გამოვიყენოთ საინფორმაციო ომის მუშაობაში. მაგალითისთვის, ხაზგასმა ინფორმაციისა შეგროვებისა და ანალიზის მნიშვნელობაზე. სტრატეგიის თეორიის, ავტორი მიმოიხილავს საომარ გზებთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებებს, მათ შორის კი პოლიტიკაში სტრატეგიისა და ტაქტიკის მნიშვნელობას, ამასთანავე სახელმწიფოს გავლენასა და როლს აღნიშნული სტრატეგიის დაგეგმვაში. კლაუზევიცი თვლის, რომ დიდი სტრატეგის თეორია გულისხმობს, პოლიტიკური რესურსების პარალელურად სოციალური და ეკონომიკური რესურსების აქტიურ გამოყენებას, სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.საინტერესოა ისიც, რომ ავტორი გვთავაზობს სამხედრო ოპერაციის პირობებში გრძელვადიან მიდგომასა და ყოვლისმომცველ ფოკუსირებას, რომელიც იაზრებს იმ სოციალურ და პოლიტიკურ შინაარსს სადაც კონფლიქტი ან ოპერაცია მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე კლაუზევიცის სტრატეგიაში შეგვიძლია მოვიაზროდ სხვა საშუალებებთან ერთად: ფსიქოლოგიური ოპერაციების, პროპაგანდის, კიბერშეტევებისა თუ დეზინფორმაციიის სტრუქტურები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამხედრო ოპერაციაში მტრის

საწინააღმდეგოდ. ამასთანავე კლაუზევიცი თეორიის მუშაობისათვის აუცილებელ პირობას უსვამს ხაზს, მისი აზრით საომარ მოქმედებებში წარმატებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, მოწინააღმდეგის ნების დამორჩილება (თევზაძე, 2019). კლაუზევიცის აზრით ამიტომაც სტრატეგიის თეორიის მთავარი იდეა მდგომარეობს, ე.წ „ ომის ნისლის“ კონცეფციაში, რაც გულისხმობს ხელოვნური მეთოდებით, დაბნეულობისა და გაურკვევლობის შექმნას, რომელიც აუცილებელია ყოველი სამხედრო ოპერაციის წარმატებისათვის. აღნიშნულისათვის კი ერთ–ერთი ხელსაყრელი მეთოდია, საინფორმაციო ომის გზებითა და მეთოდებით ბრძოლა, მათ შორის– ყალბი ამბების გავრცელებით, ე.წ „დიპფეიკების“ საშუალებით სასურველი ინფორმაციის შექმნით, და მოწინააღმდეგის საინფორმაციო საშუალებების ხელში ჩაგდებით. ამასთანავე კლაუზევიცის თეორიაში საუბარია ე.წ „მტრის სიმძიმის ცენტრის“ იდენტიფიცირების შესახებ, რომელიც მოიაზრებს მოწინააღმდეგის ძირითად ძლიერ ან სუსტად დაცულ მხარეებს, რომლებიც შესაძლოა გამიზნული იყოს გამარჯვების მოსაპოვებლად. საინფორმაციო ომის კონტექსტში, სიმძიმის ცენტრი შეიძლება იყოს მრავალგვარი მათ შორის: მტრის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიძლება იყოს მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელებისა და დაბნეულობის დასათესად. (Echevarria, 2003). საერთო ჯამში კი აღნიშნულ თეორიაში, ავტორი ხაზს უსვამს ომს, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რაც გამოყენებულია კონკრეტული მიზნების მისაღწევად. იქიდან გამომდინარე, რომ საინფორმაციო ომი მოიაზრებს: საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის, შეგვიძლია კლაუზევიცის სტრატეგიის თეორიულ ჩარჩოებში მოვაქციოთ.

1.1საინფორმაციო ომის რუსული თეორია

საინფორმაციო ომის, როგორც საბრძოლო საშუალების მნიშვნელობა მეტად თვალშისაცემი გახდა ბოლო პერიოდიდან, როდესაც რუსეთი შეიჭრა მეზობელი უკრაინის ტერიტორიაზე. უნდა ვთქვა ისიც, რომ ამ მოვლენას შემამზადებელი საფუძველი ჯერ კიდევ 2014 წელს ჩაეყარა, როდესაც რუსეთის ფედერაცია აგრესიული მეთოდებით, ყირიმის ანექსირებას შეეცადა. რუსული სამხედრო პოლიტიკისათვის საინფორმაციო და ზოგადად ჰიბრიდული ომი, ბოლო ხანებში მეტად მნიშვნელოვანი და ხელისმომცემი ხერხი აღმოჩნდა, ვინაიდან რუსეთის ძირითადი პოლიტიკა დაფუძნებულია სეპარატიზმის გაღვივებაზე, ეთნოკონფლიქტების გამოწვევასა და წარსულის საზღვრების აღდგენაზე, რისთვისაც ცხადია საუკეთესო საშუალებაა საინფორმაციო ომის ფარგლებში, ცრუ რეალობის შექმნა, ისტორიის თავიდან დაწერა და ნაციონალური იდენტობის გაქრობა. აქედან გამომდინარე კი რუსი კონფლიქტოლოგები და პოლიტოლოგები ჰიბრიდულ და საინფორმაციო ომების კვლევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

2013 წელს მოსკოვში გამართულ სამხედრო სამეცნიერო კონფერენციაზე, რუსეთის გენშტაბის უფროსმა და სამხედრო ანალიტიკოსმა ვალერი გერასიმოვმა ჰიბრიდულ და საინფორმაციო ომებზე საუბარს ყველაზე დიდი დრო დაუთმო. აღნიშნული კონფერენციიდან რამდენიმე კვირაში, ჟურნალ „Военно-Промышленный Курьер“– ში დაიბეჭდა სტატია სადაც გერასიმოვის სამხედრო თეორია და ხედვები იყო წარმოდგენილი. გერასიმოვის აზრით, 21–ე საუკუნეში დამკვიდრდა ტენდენცია, რის პირობებშიც მოიშალა მკვეთრი საზღვარი მშვიდობასა და ომს შორის (Герасимов, 2013). ერთი წლის შემდეგ კი გერასიმოვმა მის ნააზრევს, სამხედრო დოქტრინის სახე მისცა. „გერასიმოვის დოქტრინა“ დღესაც მნიშვნელოვანია რუსულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი უკრაინასთან მიმართებაში საინფორმაციო ომის თვალსაზრისით. აღნიშნული დოქტრინა გვთავაზობს სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მიღწევას შემდეგნაირად: გერასიმოვის აზრით საინფორმაციო ომი მიმართული უნდა იყოს არათუ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სამხედროებისკენ, არამედ მშვიდობიანი მოქალაქეების პოლიტიკური აზრის ფორმირებისკენ, სახელმწიფო იდეალებისა და მათი შემართების

ნგრევისაკენ, რაც გამოიწვევს ერთიანობის რღვევასა და შინა აშლილობას, რაც საბოლოოდ მოქალაქეთა „ნების“ გატეხვამდე მიდის. ამის საუკეთესო მაგალითია, რუსეთისგან ოკუპირებულ უკრაინულ რეგიონებში, გატარებული „სატყუარის“ პოლიტიკა, რის პირობებშიც რუსული ხელისუფლება უკრაინულ მოსახლეობას რუსული მოქალაქეობის სანაცვლოდ მატერიალურ დახმარებას პირდებოდა. საინფორმაციო ომის მსგავს პირობებში მუშაობისას საინტერესოა ასევე ერთი მომენტი, რასაც გერასიმოვი მის დოქტრინაში ხაზს უსვამს, საინფორმაციო ომს არ გაჩნია პირობითი საზღვრები და ასე ვთქვათ „ტვინების რეცხვა“ რჩება საერთაშორისო სამართლის ყოველგვარ რადარებს მიღმა. ამიტომაცაა, რომ საინფორმაციო ომს მოიაზრებენ მეტად ხელსაყრელ საომარ ხერხს.

რუსული საინფორმაციო ომის გამოცდილებაზე საუბრისას ამასთანავე საინტერესოა, თანამედროვე რუსეთის კვლევის ინსტიტუტის (Institute of Modern Russia (New York, N.Y.), მიერ 2014 წელს გამოცემული მოხსენება– „არარეალური საფრთხე“ (Pomerantsev Peter, Weiss Michael, 2014), სადაც ბრიტანელი მედია ექსპერტი პიტერ პომერანცევი და ამერიკელი ანალიტიკოსი რუსეთის საკითხებში მაიკლ ვაისი საუბრობენ რუსული მხარის მიერ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის აქტიურ გამოყენებაზე, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მოხსენებაში ავტორები ამტკიცებენ იმ მოსაზრებას, რომ რუსეთის ხელისუფლებამ პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის თაოსნობით ჩამოაყალიბა ძლიერი პროპაგანდისტული ქსელი, რომელიც ალტერნატიულ რეალობას სთავაზობს, როგორც საერთაშორისო საზოგადოებისათვის ასევე შიდა სახელმწიფოებრივ დონეზეც. ავტორები ხაზს უსვამენ კრემლის საინფორმაციო ომის მუშაობას მრავალ არხზე, ეს იქნება კრემლის კონტროლირებად მედიასაშუალებებზე, კულტურულ ინსტიტუტებზე თუ სოციალურ მედიაზე. საინტერესოა ისიც, რომ ავტორები საინფორმაციო საშუალებებზე ზემოქმედებასა და დაფინანსებას არამარტო ხელისუფლების მხრიდან ხედავენ, არამედ რუსი ოლიგარქების მხრიდანაც, რომლებიც ცხადია კრემლის პროპაგანდას აძლევენ ხელს. მოხსენებაში ავტორები გვთავაზობენ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც რუსული საინფორმაციო ომი, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მის მეზობელ ქვეყნებში დემოკრატიის მშენებლობასა და გლობალურ

სტაბილურობას. აქედან გამომდინარე კი ავტორები, რუსულ საინფორმაციო ომის საპირწონედ არამარტო მთავრობების ძალისხმევას ასახელებს, არამედ მათი აზრით მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა.

თავი II - რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა:შემთხვევათა ანალიზი

ინფორმაციით სისტემური მანიპულირება და დეზინფორმაცია გამოიყენა რუსულმა ხელისუფლებამ, როგორც ოპერატიული იარაღი უკრაინაზე თავდასხმისათვის 2022 წლის დასაწყისში (Union Council of the European, 2022). რუსეთის მთავრობისა და მისი სატელიტი აქტორების მხრიდან. უკრაინული სახელმწიფოს და მის მოკავშირე მთავრობების საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედებები, მნიშვნელოვან გამოცდილებას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უპირისპირდება წინასწარშეთხზული ყალბი ინფორმაცია სიმართლეს. ამიტომაცაა, რომ რუსული აგრესიული ომი მეზობელი უკრაინის წინააღმდეგ ხაზგასასმელია იმ მახასიათებლით, რომლითაც ის მიმდინარეობს აქტიურ 24 საათიან პროცესში ინტერნეტის, სოციალური მედიისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების დახმარებით.

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელება უკრაინული სახელმწიფოსა და დასავლეთის წინააღმდეგ. აღნიშნული კი გადაიზარდა მასობრივ პროპაგანდასა და ისტორიულ „გადასინჯვის“ მომენტში. მაგალითისთვის, 2014 წლის მოვლენების შემდეგ რუსული პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ ყირიმი „ყოველთვის რუსული ნაწილი იყო“ (Coynash, 2021), ამასთანავე ცრუ განცხადებები ქვეყნდებოდა უკრაინის/აშშ–ის ბიოიარაღისა და ლაბორატორიების შესახებ. აღნიშნული მცდელობები კი გვიჩვენებს რამდენიმე ხერხს, რომლითაც რუსეთის ხელისუფლება და მისი მოკავშირე მხარეები იყენებენ დეზინფორმაციას, როგორც პრაქტიკულ საბრძოლო იარაღს მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად, დასაბნევად და ყურადღების გადასატანად. ბოლო პერიოდში ონლაინ პროპაგანდა გამოცხადდა, როგორც უდიდესი საფრთხე დასავლური დემოკრატისებისათვის (Aral, S. & Eckles, D., 2019). მისი გავრცელება მეტად სწრაფად და ეფექტურად ხდება. გასული წლის თებერვლიდან კრემლმა და მისმა სატელიტმა სახელმწიფოებმა, დაიწყეს ისეთი შინაარსის ნარატივის გავრცელება, რომელიც უკრაინის მხარდაჭერას რადიკალურად შეამცირებდა. ამ შემთხვევაში განვიხილავ დეზინფორმაციის ერთ–ერთ სახეობას ე.წ “deepfake”-ს რომელიც

გულისხმობს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, ვიდეოს ან ფოტოს გაყალბებას, სხეულის მოძრაობის, მანერისა და მეტყველების კულტურის მიმბაძველი ტექნოლოგიით (ყორშია, 29.092021). რუსული მხარისგან 3 კვირის შემდეგ, რაც უკრაინაში შეიჭრა 2022 წლის 24 თებერვალს, ერთ–ერთ უკრაინულ საინფორმაციო საიტზე გამოჩნდა ვიდეო, სადაც ასხულია პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მოთხოვნა, უკრაინელ ხალხთან, ვიდეოში პრეზიდენტი ითხოვს, შეწყვიტონ ბრძოლა და იარაღი გვერძე გადადონ. მან ვიდეოში განაცხადა, რომ ამ ომში უკრაინელთა სიკვდილი არ არის საჭირო. აღნიშნულ შემთხვევაში ეს იყო "deep fake", რომელიც გავრცელებული იყო რუსული მხარისგან, უნდა ვთქვა ისიც, რომ აღნიშნული ვიდეო წაიშალა მალევე ინტერნეტ სივრციდან, რასაც მოყვა ზელენსკის განმარტება–იგი ხაზს უსვამდა, რუსული ძალის სასოწარკვეთას და უკიდურესი ხერხების მიმართვას. დეზინფორმაციის ეს შემთხვევა არის მაგალითი, სადაც აშკარა მცდელობაა ე.წ „ნების დამორჩილების" შემთხვევისა რუსული მხარისგან, რომელიც ცხადია, ომის საწყის ეტაპზე ყველაზე მეტად ჭირდებოდა კრემლს. ატლანტიკური საბჭოს, ციფრული–სასამართლო კვლევითი ლაბორატორიის უფროსი მკვლევრის, ენდი კარვინის აზრით, ადამიანთა პოზიციებისა და აზრების შეცვლა მეტად რთულია, ვიდრე შიშისა და ეჭვის დათესვა. სწორედ ამიტომ რუსული საინფორმაციო ოპერაციები უფრო მეტად ფოკუსირებულია, ქაოსის წარმოქმნასა და უბრალოდ ხალხში გაურკვევლობის ჩამოგდებაზე. 2022 წლის 20 აპრილს ერთ–ერთმა ყალბმა მომხმარებელმა, სოციალური ფეისბუქის დახურულ ჯგუფში გააზიარა ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენდა, Pravda.ru-ს სტატიას, ინფორმაციის მიხედვით, ბუჩაში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ აღმოჩენილ გვამებს ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლებასთან შეთანხმებით კომერციული მიზნებისთვის იყენებდა, კერძოდ გარდაცვლილთა სხეულებს ტურისტული დანიშნულება მიენიჭათ, სტატიის შინაარსიდან ვიგებთ, რომ გარდაცვლილთა იდენტიფიცირება, ექსჰუმაცია და დაკრძალვა დროულად იმიტომ არ მოხდა, რომ აღნიშნული სამხედრო დანაშაული ჩადენილი იყო უკრაინული მხარის მიერ (კორძახია, 2022). ამ შემთხვევაში, კრემლთან დაკავშირებულმა Pravda.ru-მ აღნიშნულ დეზინფორმაციას რამდენიმე ძირითადი ამოცანა დააკისრა, რომელსაც როგორც ჩანს ქაოსი და დაბნეულობა უნდა გამოეწვია, ამასთანავე მას უნდა გაევლო რამდენიმე

ძირეულ ფაქტორზე, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რელიგიური ფაქტორი, ვინაიდან რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანთა ყოველდღიურობასა და მსოფლხედვაში, განსაკუთრებით კი ქრისტიანი ორთოდოქსისათვის, რომლისთვისაც გარდაცვლილი ადამიანის წესისამებრ დაკრძალვა და პატივის მიგება ერთ–ერთი სულიერი საზრუნავია. ცხადია აქედან გამომდინარე ეს დეზინფორმაცია გამოიწვევდა სკეპტიციზმს, როგორც უკრაინიაში მცხოვრები ხალხისგან, ამასთანავე რუსულ საზოგადოებისგან. აღნიშნულ შემთხვევაში რუსული დეზინფორმაცია, გადის სასურველ 2 შედეგზე, პირველი: არის შანსი უკრაინაში გაიზარდოს სკეპტიციზმი, ხელისუფლებისადმი და ამასთანავე ბუჩის ტრაგედიაში შეიტანონ ეჭვი, რაც შედარებით შეასუსტებს რუსული მხარიდან მომავალ მტრული განწყობის აღქმას და მეორე შემთხვევაში, რუსული ხელისუფლება, ხელს აძლევს რუსულ საზოგადოებაში ანტი–უკრაინულ განწყობას და შესაბამისად მობილიზაციისა და ანტისამთავრობო განწყობების პირდაპირ–პროპორციულად ზრდას. რუსულ საინფორმაციო ომში, შევხდებით ერთ საინტერესო მომენტს, რომელიც უშუალოდ რუსულ პოლიტიკასაც ახასიათებს. კერძოდ სხვისკენ ხელის გაშვერის და გადაბრალების ფენომენი, რომელსაც ხშირად იყენებენ ბოლო პერიოდში. ცხადია საინფორმაციო ომიც არაა გამონაკლისი ამ შემთხვევაში. მითების დეტექტორის ერთ–ერთ სტატიაში ვეცნობით შემდეგ შემთხვევას: 2022 წლის 5 მარტს, რუსულ საინფორმაციო მედიაში, „Аргументы и Факты“ გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინის ქალაქ მარიუპოლში, მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები დაიბომბა, აზოვის პოლკის მიერ (მითების დეტექტორი, 2022). რეალურად კი ქალაქი მარიუპოლი 5 დღის განმავლობაში უწყვეტი არტილერიის ცეცხლისქვეშ იმყოფებოდა, რომელსაც რუსული მხარე იყენებდა. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი თუ რატომ დასჭირდა რუსულ მხარეს ყალბი ინფორმაციის შექმნა და გავრცელება. 2022 წლის მარტის დასაწყისში გაფორმდა მცირე ხნიანი ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება, ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე მაგრამ, რუსულმა მხარემ მაინც გახსნა ცეცხლი მარიუპოლის მიმართულებით. შესაბამისად რუსულ ხელისუფლებას, საერთაშორისო სამართლის თავის ასარიდებლად, მოუწია დეზინფორმაციის გზით, ე.წ უარყოფის პოლიტიკის ამუშავება, ამ შემთხვევაში კი მეტიც დანაშაული უკრაინულ მხარეს გადააბრალა.

საინტერესო კვლევა გამოქვეყნდა, 2022 წლის ბოლოს, ერთ–ერთ საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD)–ის ოფიციალურ ვებგვერდზე, სტატიაში შევხვდებით რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევებს, 2022 წლის თებერვალიდან, რომლებიდანაც მიმართულება და ნარატივი ურთიერთგანსხვავებული იყო (OECD, 2022). ყალბი ინფორმაციისა და პროპაგანდის შემთხვევები კი სტატიაში სულ წარმოდგენილი იყო 20 ერთეული წარმოგიდგენთ მათ სათაურებს: "საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებენ, რომ უკრაინა ამზადებდა შეტევით ოპერაციას დონბასის წინააღმდეგ", „ომის პირველ თვეში უკრაინის ქალაქ ბუჩაში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა დაიდგა", „შეერთებული შტატები ავითარებს ბიოიარაღს, რომელიც განკუთვნილია ეთნიკური რუსებისა და უკრაინელებისათვის", „უკრაინა რუსეთს დაემუქრა, რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრით", „ამერიკელი მედესანტეები უკრაინაში დაეშვნენ", „უკრაინამ თავდასხმა მარიუპოლის საავადმყოფოზე 2022 წლის 9 მარტს მოაწყო", „ევროპის უნივერსიტეტები განათლებისათვის ჩასულ რუს სტუდენტებს აძევებენ", „უკრაინა ამზადებს ბავშვებს ჯარისკაცებად, საზარბაზნე ხორცად", „უკრაინის ომი დამღუპველი და არაფრის მომცემია უკრაინისათვის", „უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დროს რუსეთი კასეტურ საბრძოლო მასალას არ იყენებდა", „ნატოს აქვს სამხედრო ბაზა ოდესაში", „რუსეთი განზრახ არ უმიზნებს უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურას", „თანამედროვე უკრაინა მთლიანად კომუნისტურმა რუსეთმა შექმნა", „ყირიმის რუსეთთან შეერთება სრულიად კანონიერი იყო", „უკრაინულმა ძალებმა დაბომბეს საბავშვო ბაღი ლუგანსკში, 2022 წლის 17 თებერვალს", „შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უკრაინას გაუგზავნეს მოძველებული იარაღი", „ნაციზმი მძვინვარებს უკრაინის პოლიტიკასა და საზოგადოებაში, რომელსაც მხარს უჭერს უკრაინის ხელისუფლება", „რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილმა ძალებმა მოაწყეს გადატრიალება რუსეთთან მეგობრულად განწყობილ უკრაინის მთავრობის დასამხობად 2014 წელს", „დონბასში რუსულენოვანი მოსახლეობა გენოციდის მსხვერპლი გახდა", „ბუჩაში, უკრაინული ხელისუფლების მიერ მიცვალებულთა დაკრძალვის განზრახ დაგვიანება".

რასაკვირველია, ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ყველა განსხვავებულ ნარატივს ატარებდა, და სამიზნე აუდიტორიაც განსხვავებული იყო, მაგრამ ცხადია ერთ

მიზანს ემსახურებოდა რუსული მხარისათვის. ნარატივისა და სამიზნე ობიექტების პროცენტული განაწილებისათვის და ანალიზისათვის, აღნიშნულ შემთხვევებს, შინაარსიდან გამომდინარე გავაერთიანებ 5 მიზნობრივ ჯგუფში, რომლებიც ერთმანეთისგან გაირჩევიან, რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ნარატივისა და სამიზნე ობიექტის მიხედვით:

ჯგუფი #1. ანტი–დასავლური განწყობის შეტანა უკრაინაში.

- შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა უკრაინას გაუგზავნეს მოძველებული იარაღი.
- შეერთებული შტატები ავითარებს ბიოიარაღს, რომელიც განკუთვნილია ეთნიკური რუსებისა და უკრაინელებისათვის. ასევე ა.შ.შ–ს აქვს ბიოიარაღების ლაბორატორიების ქსელი აღმოსავლეთ ევროპაში.

ჯგუფი #2. უკრაინული ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაჩენა.

- ბუჩაში, უკრაინული ხელისუფლების მიერ მიცვალებულთა დაკრძალვის განზრახ დაგვიანება.
- უკრაინამ თავდასხმა მარიუპოლის საავადმყოფოზე 2022 წლის 9 მარტს მოაწყო.
- უკრაინა ამზადებს ბავშვებს ჯარისკაცებად, „საზარბაზნე ხორცად“.
- უკრაინის ომი დამღუპველი და არაფრის მომცემია უკრაინისათვის.
- ომის პირველ თვეში უკრაინის ქალაქ ბუჩაში მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა დაიდგა.
- უკრაინულმა ძალებმა დაბომბეს საბავშვო ბაღი ლუგანსკში 2022 წლის 17 თებერვალს.

ჯგუფი #3. რუსული ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობის გაჩენა, უკრაინელი მოქალაქეებში.

- უკრაინის ომი დამღუპველი და არაფრის მომცემია უკრაინისათვის.
- უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დროს რუსეთი კასეტური საბრძოლო მასალას არ იყენებდა.
- რუსეთი განზრახ არ უმიზნებს უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურას.

- თანამედროვე უკრაინა მთლიანად კომუნისტურმა რუსეთმა შექმნა.

ჯგუფი #4. აპელირება უკრაინის „დენაციფიკაციაზე“.

- უკრაინა რუსეთს დაემუქრა, რუსეთის ტერიტორიაზე შეჭრით.
- ნაციზმი მძვინვარებს უკრაინის პოლიტიკასა და საზოგადოებაში, რომელსაც მხარს უჭერს უკრაინის ხელისუფლება.

ჯგუფი #5. უკრაინაზე თავდასხმის გამართლება რუსული ხელისუფლების მიერ ეთნიკურად რუსების დაცვის მოტივით.(ეროვნული უსაფრთხოება)

- საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებენ, რომ უკრაინა ამზადებდა შეტევითი ოპერაციას დონბასის წინააღმდეგ.
- დონბასში რუსულენოვანი მოსახლეობა გენოციდის მსხვერპლი გახდა.
- ყირიმის რუსეთთან შეერთება სრულიად კანონიერი იყო.
- ევროპის უნივერსიტეტები განათლებისათვის ჩასულ რუს სტუდენტებს აძევებენ.
- რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილმა, ძალებმა მოაწყეს გადატრიალება რუსეთთან მეგობრულად განწყობილ უკრაინის მთავრობის დასამხობად 2014 წელს.
- ნატოს აქვს სამხედრო ბაზა ოდესაში.

აღნიშნული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შემთხვევები, განსხვავებულ პროცენტულ განაწილებას გვაძლევს. შესაბამისად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსული ხელისუფლება პროპაგანდაში და დეზინფორმაციაში, რამდენიმე ნარატივს ანიჭებს უპირატესობას, (იხილეთ დიაგრამა #1)

დიაგრამა #1:



დიაგრამის მიხედვით ირკვევა, რომ რუსული ხელისუფლება თანაბარ უპირატესობას ანიჭებს ჯგუფ #2–სა და ჯგუფი #5–ს, რომლებიც გულისხმობს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ძირითად ნარატივს: უკრაინული ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობის შესუსტებასა და უკრაინაში შეჭრის გამართლებას, ეთნიკურად რუსი მოსახლეობის დასაცავად. პროცენტული განაწილებით, აღნიშნულ ნარატივს მოსდევს, ჯგუფი #3 რომელიც გულისხმობს, რუსული ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობის გაჩენას. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსული დეზინფორმაცია, ცდილობს ისეთი შინაარსის ნარატივის გავრცელებას, რომელიც საკუთრივ რუსეთში აამაღლებს კეთილგანწყობას ხელისუფლებისადმი. ამასთანავე უკრაინაში როგორც ეთნიკურად რუს ასევე უკრაინელ მოსახლეობაში.ყველაზე დაბალი თანაბარი პროცენტული განაწილება კი აქვს: #1 და #4 ჯგუფებს, რომლებიც გულისხმობენ, ანტი–დასავლური განწყობის შეტანას უკრაინაში და რუსული თავდასხმის გამართლებას უკრაინის „დენაციფიკაციით“. ცხადია აღნიშნული ნარატივის მქონე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის პროცენტული განაწილება, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ უკრაინული მოსახლეობა შემზადებული იყო რუსული დეზინფორმაციისათვის. ამასთანავე

მაღალია უკრაინელ ხალხში მედია–წიგნიერების დონე (ექსპერტი #2.) რაც აღნიშნული მაგალითების პროპაგანდირებას აზრს მოკლებულს ხდიდა.

საბოლოოდ კი ვნახეთ, რომ რუსულ საინფორმაციო ომში პროპაგანდა და დეზინფორმაცია ომის დასაწყისიდანვე აქტიურად მუშაობდა და მას გააჩნდა რამდენიმე გამოკვეთილი მიმართულება, რომლებიც გადიოდა ადამიანურ ფაქტორებზე. ამასთანავე სამიზნე ობიექტები და ნარატივები ხშირად ერთმანეთს კვეთდნენ რაც მათ მუშაობას ერთი შეხედვით კოორდინირებულს აჩენდა, მაგრამ რეალურად შედეგზე ორიენტირი იკარგებოდა.

თავი III - მასობრივი და სოციალური მედიის როლი რუსულ საინფორმაციო ომში

რუსული საინფორმაციო ომი უკრაინის წინააღმდეგ ყალიბდება მეტად საინტერესო ფენომენად, თანამედროვე საბრძოლო თვალსაზრისით. რუსულმა საინფორმაციო ომის მეთოდებმა, არა მარტო მოდიფიცირება განიცადეს ბოლო პერიოდში, არამედ მოერგო ისეთ თანამედროვე საშუალებებს, როგორიც სოციალური მედიაა. განსაკუთრებით კი ინტერნეტ პორტალები, რომლებიც ხდებიან რუსული საინფორმაციო ომში გავლენის აქტორები და ინფორმაციის გამტარები სამიზნე ობიექტისათვის. ტექნოლოგიათა განვითარებამ და ხელმისაწვდომობამ, სოციალურ მედიას შედარებით დიდი მნიშვნელი შესძინა ვიდრე აქამდე მას ჰქონდა. სოციალური მედიის დახმარებით ადამიანები ცდილობენ გაეცნონ პოლიტიკურ და არამარტო პოლიტიკურ სიახლეებს. ამასთანავე სოციალური მედია შესაძლებლობას გვაძლევს გავეცნოთ და გავიაზროთ უახლოეს წარსულში მომხდარი ამბები, შესაბამისად სოციალური მედია ანაცვლებს, მანამდე არსებულ საინფორმაციო საშუალებებს და თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში დიდ ადგილს იკავებს. მაგალითისათვის, 2022 წლის მაისს უკრაინაში გამოქვეყნდა კვლევა, (Fernandez Gibaja, 2022) რომლის მიხედვითაც უკრაინელთა 77 პროცენტი სიახლეებს ეცნობა, არათუ სატელევიზიო საშუალებებიდან, რადიოდან ან ჟურნალ–გაზეთებიდან, არამედ სოციალური მედიიდან. თვალში საცემია ამასთანავე ის ფაქტი, რომ შეიცვალა სოციალური მედიის პლატფორმები, რომლებსაც ხალხი იყენებდა: ომის დასაწყისში ინფორმაციის ძირითადი წყარო უკრაინელებისათვის გახდა Telegram, რომელსაც მოჰყვებოდა Youtube და შემდეგ კი Facebook. აქედან გამომდინარე კი რუსულმა საინფორმაციო ომმა ინფორმაციის ძირითად გამტარად სწორედ სოციალური მედია მიიჩნია.

2023 წლის მაისში, გიესენის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი (Geissler, 2023), სადაც ასახული იყო სოციალურ მედიაში რუსული საინფორმაციო ომის მუშაობა. აღნიშნულ შემთხვევაში მინდა ყურადღება გავამახვილო რუსული საინფორმაციო ომის მიერ ნარატივის ერთ–ერთ სახეობაზე, რაც გულისხმობს კრემლისა და პუტინის მხარდაჭერას, სოციალური მედიის დახმარებით. ზემოთ

ნახსენებ კვლევაში გამოქვეყნდა მონაცემი, 2022 წელს Twitter-ში გამოყენებული პრორუსული „hashtag”-ებიდან(იხილეთ ცხრილი #1.)

ცხრილი #1:

Hashtag–ები.	#istand with putin.	#istand with.Russia.	#russia is strong.	#stand with Russian army.	#stand with Russian power.
ანგარიშის რაოდენობა.	73091	44747	12234	7118	5027
სიხშირე.	180937	126209	20598	11743	10231

აღნიშნული მონაცემებიდან ვიგებთ, რომ ყველაზე დიდი სიხშირის რაოდენობა აქვს hashtag-ს რომლის შინაარსიც გულისხმობს, უშუალოდ პუტინის მხარდაჭერას. აღნიშნულს გააჩნია 180937–ჯერ დაწერის მაგალითი ტვიტერზე. ამ მონაცემს კი უკვე მოდევს რუსეთის, როგორც სახელმიწფოს მხარდამჭერი პოსტი. აღნიშნული სტატისტიკიდან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსულ საინფორმაციო ომში შეინიშნება ტენდენცია, რაც გულისხმობს ისეთი ნარატივის გავრცელებას, რომელიც პუტინის ან რუსული მთავრობის მხარდამჭერი იქნება, ამაში დავრწმუნდებით, თუ თავიდან გადავხედავთ #1 დიაგრამას, სადაც პროცენტული განაწილებით მსგავსმა ნარატივმა დაიკავა პირველი ადგილი.

რუსულ საინფორმაციო ომში, სოციალურ მედიასა და ქსელებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენო, რუსული სოციალური მედიისა და ქსელების კონტროლი სამთავრობო დონეზე. ამ შემთხვევაში რუსული საინფორმაციო ომი მუშაობს, ადგილობრივი პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელების პარალელურად, ერთგვარი ცენზურის არსებობით. ხელისუფლება ადგილობრივ მასმედიასა და სოციალურ მედიას ერთგვარ კონტროლს უწევს, რომელსაც აქვს კანონის ძალა. მეტიც ამისათვის არსებობს ოფიციალური სამთავრობო უწყება „Роскомнадзор”– ეს არის

საინფორმაციო ტექნოლოგიების, მასმედიისა და კომუნიკაციების ზედამხედველობის ფედერალური სამსახური, (Lipov, 2022). უკრაინაში შეჭრის შემდეგ, აღნიშნულმა სამსახურმა გამოაცხადა რომ სოციალურ და მასმედიის წარმომადგენლებს ომის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ეკრძალებოდათ. გამონაკილისი კი მხოლოდ ოფიციალური წყაროებიდან გავრცელებას ეხებოდა (OECD, 2022). ამასთანავე განცხადებაში საუბარი იყო გამოძიების დაწყებაზე 10 მედიასაშუალების მიმართ, რომლებიც ავრცელებდნენ, „საჯაროდ მნიშვნელოვან არასანდო ინფორმაციას". როსკომნადზორი ასევე საინფორმაციო საშუალებებს თხოვდა, რომ დაებლოკათ ყოველი ინფორმაცია და კომენტარი სადაც გამოყენებული იქნებოდა ტერმინები: „ომი" და „შეჭრა" სანაცვლოდ კი საინფორმაციო საშუალებებს აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ ტერმინი: „სპეციალური სამხედრო ოპერაცია"(OECD, 2022). აღნიშნულ უწყების გარდა რუსულმა ხელისუფლებამ უკრაინაში შეჭრის შემდეგ მიიღო კანონი, რომელიც ომის ირგვლივ გავრცელებულ ინფორმაციის კონტენტის მთავარი მაკონტროლებელი სისტემა გახდა (HRW.org, 2022) კანონი რუსეთის დუმამ 2022 წლის 4 მარტს მიიღო, ნომრით #31–FZ. აღსანიშნია, რომ ზოგადი საცენზურო მოვალეობის გარდა კანონს გააჩნია ერთი მთავარი ამოცანა, რაც მდგომარეობს ყოველგვარი ინფორმაციის აკრძალვაში, რომელიც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ ცრუ ინფორმაციას ან კრიტიკას ავრცელებს.

კვლევის აღნიშნულ ნაწილში გამოიკვეთა ტენდენციები, რომელიც რუსულ საინფორმაციო ომს ახასიათებს, 2022 წელს უკრაინასთან დაწყებულ ომში:

1. სოციალური მედიისა და მასმედიის მნიშვნელობის ზრდა რუსულ საინფორმაციო ომში.
2. პუტინისა და კრემლის უძლეველობის ნარატივის გავრცელება, როგორც რუსეთში ასევე უკრაინაში.
3. უკრაინაში არსებულ საომარ ვითარებაზე, ინფორმაციის „გაცხრილვა" სახელისუფლებო დონეზე კრემლის მიერ.
4. საომარი განწყობის ამაღლება რუს მოსახლეობაში, საინფორმაციო ომის პროცესში.

აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს რომ რუსული საინფორმაციო ომი უკრაინაში მუშაობასთან ერთად აქტიურ ზემოქმედებას ახდენს რუსეთის მოქალაქეებზეც. ამის მიზეზი კი არის, პირველ რიგში კრემლის მიზანი გაიმყაროს პოზიციები საკუთარ მოქალაქეებისგან და შექმნას ისეთი გარემო სადაც „სპეციალური სამხედრო ოპერაციისათვის“ თავდადების სურვილი იქნება მაღალი, რაც ცხადია ყოველგვარ საომარ მოქმედებებს ხელს შეუწყობს.

3.1 თავი–რუსული კიბერ–ომი მუშაობა უკრაინაში

რუსეთმა „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ უკრაინასთან 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო, მაგრამ რუსული საინფორმაციო ომი, შედარებით ადრე დაიწყო უკრაინაში. საინფორმაციო ომის აქტიურად გამოყენება უფრო თვალში საცემი გახდა, როდესაც რუსეთმა დაიწყო კიბერ–თავდასხმები უკრაინულ სტრატეგიულ ობიექტებზე. 2022 წლიდან უკრაინის საჯარო დაწესებულებებსა, ბიზნესის სექტორსა და მედიის ცენტრებზე მასობრივად დაიწყო შეტევა რუსული კიბერ მეთოდებით. მეტიც რუსულმა კიბერ შეტევებმა შეაჩერა ისეთი ლოგისტიკური ქსელი, რაც მედიკამენტების, საკვებისა და საფოსტო გზავნილების მიწოდებას გულისხმობს (Jakub, 2022). საინფორმაციო ომის პროცესში, კიბერ შეტევების გავლენა ვრცელდებოდა, სახელმწიფო მნიშვნელობის მონაცემთა ქურდობიდან ღრმა დეზინფორმაციამდე. ცხადია, ეს თავდასხმები ზურგს უმაგრებდა მომავალი „ცხელ“ თავდასხმებს. რუსული კიბერ ომი, სახელისუფლებო მონაცემთა წაშლით, ცალსახად ცდილობდა უკრაინული სამთავრობო და სამხედრო ძალების კოორდინაციის მოშლას. აღნიშნულ შემთხვევაში კი რუსულმა ხელისუფლებამ მოახდინა ერთგვარი ძალის დემონსტრირება და გამოიყენა „The wiper malware”- სისტემა, რომელიც ახალი იყო რუსული მხარისათვის, სისტემა მუშაობს ერთი ძირითადი მიზნით, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ორგანიზაციის ოფიციალური წვდომის შეზღუდვას ფაილებსა და მონაცემებზე, რაც ცალსახად ხელის შემშლელი ფაქტორი ხდება ორგანიზაციისათვის. რუსული მხარისგან იმდენად დიდი მნიშვნელობის, კიბერ თავდასხმები მიემართებოდა უკრაინისაკენ, რომ ევროკავშირმა გააქტიურა ე.წ „კიბერ–სწრაფი რეაგირების ჯგუფი“ (PESCO). კვლევის აღნიშნულ ნაწილში, დეტალურად მიმოვიხილავ რუსული საინფორმაციო ომის პირობებში, რა სახის კიბერ თავდასხმები

გამოიყენა უკრაინასთან მიმართებაში, 2022 წლის 24 თებერვლიდან და რამდენად შედეგის მომტანი აღმოჩნდა ეს თავდასხმები.

რუსული კიბერ–ოპერაციების უმეტესობა უკრაინაში მომზადებულია იმ კიბერ სპეციალისტების მიერ, რომლებიც საკუთარ სფეროში მუშაობენ: არაკიბერ სამხედრო წყაროებისა და კონცეფციების შეზღუდული ინტეგრაციით (JON, 2022) ამიტომაცაა, რომ ხშირ შემთხვევაში რუსული კიბერ თავდასხმის საბოლოო შედეგი ზუსტად არ არის გათვლილი და სავარაუდო სამიზნე ობიექტთან ერთად სხვა ობიექტზეც ირიბ ზემოქმედებას ახდენს. უკრაინაში ომის დაწყების პირველივე დღეს, 24 თებერვალს, რუსული საინფორმაციო ომის პირობებში მოხდა კიბერ შეტევა უკრაინაში მოქმედ სატელიტურ ქსელზე. ამ შეტევამ გააუქმა მოდემები, რომლებიც დაუკავშირდნენ-Viasat Inc-ის KA SAT სატელიტურ ქსელს (cyber peace institute, 2022), რომელთა ძირითადი მოვალეობაც იყო უკრაინასა და ევროპაში მილიონობით ადამიანის ინტერნეტით უზრუნველყოფა. ამ შემთხვევაში საინტერესოა ერთი ფაქტი: viasat-ის სატელიტურ გადამცემ კომუნიკაციებზე თავდასხმამ გააუქმა არა მხოლოდ სატელიტური კომუნიკაცია უკრაინასა და ევროპის ნაწილში, არამედ გამოიწვია გაუთვალისწინებელი ზემოქმედება გერმანული ქარის ტურბინების სატელიტური მოდემების გამორთვით (Schulze, 2023). იმის და მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით კიბერ ოპერაცია ტექნიკურად წარმატებული იყო, მან ვერ შეასრულა მთავარი მიზანი, რაც გულისხმობდა: უკრაინის კონტროლისა და სამეთაურო დაზვერვის ოპერაციების შეფერხებას. შეტევიდან მოგვიანებით, უკრაინის სახელისუფლებო პირებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ კიბერ თავდასხმას, ცხადია ჰქონდა ზეგავლენა, მაგრამ ეს იყო უმნიშვნელო, ვინაიდან უკრაინული ხელისუფლება სამხედრო გენ–შტაბთან და დაზვერვასთან, კოორდინაციისთვის არასდროს იყენებდა სატელიტურ კავშირს. აქედან გამომდინარე კი შემიძლია გამოვყო, რამდენიმე ასპექტი, რაც რუსულ კიბერ შეტევებს ახასიათებდა აღნიშნულ შემთხვევაში:

რუსული კიბერ–სისტემა, მუშაობს „არაზუსტი დამიზნების“ პრინციპით, რაც იწვევს რამდენიმე სამიზნე ობიექტის დამატებას საწყის ობიექტებზე. კიბერ–თავდასხმა მიმდინარეობს რამდენიმე „ბმულის“ გავლით სამიზნე ობიექტამდე.

კიბერ–შეტევის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება.

რუსული საინფორმაციო ომის პირობებში, მნიშვნელოვანი სიახლე გამოჩნდა კიბერ თავდასხმის პროცესში: 2022 აპრილში მკვლევრებმა აღმოაჩინეს ახალი კიბერ სისტემა– „industroyer2", რომელიც მიმართულია უკრაინული ენერგეტიკულ ქსელში კონტროლის სისტემაზე ზეგავლენისთვის (Schulze, 2023). საინტერესოა ის ფაქტი, რომ კიბერ–შეტევა ამ შემთხვევაში ხორციელდება უშუალოდ კინეტიკური სამხედრო ზეგავლენისთვის. აღნიშნული სისტემა კი გულისხმობს: ხელოვნური ინტელექტის მუშაობას, რომელიც ამავდროულად იყენებს ერთგგვარ „ციფრული ბომბის" ფუნქციას, რომელიც სამიზნე ობიექტებზე წინასწარ განლაგდება, კიბერ შეტევის დაწყებამდე. როგორც მკვლევრები განგვიმარტავენ, აღნიშნულ პროგრამას გააჩნია, IEC-104 პროტოკოლის მოდული, რაც პროგრამას ხელს აძლევს დაუკავშირდეს და ამორთოს ჰიდრო და თბოელექტრო სადგურებში ე.წ რელე(დამცავი კვების ბლოკი) რაც მათ მწყობრიდან გამოსვლას იწვევს (Arpagian, 2022).აღნიშნული პროგრამის გამოყენება 2016 წელსაც დაფიქსირდა, მაგრამ მცირე ხნით, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდდენია. როგორც ზემოთ ვახსენე აღნიშნული სისტემა გათვლილია სამრეწველო აღჭურვილობებისათვის, უმეტს შემთხვევაში კი რუსული საინფორმაციო ომის პირობებში ძირითადად მიმართულია ენერგო მომარაგების სისტემის წინააღმდე უკრაინაში. მიზანი ერთია, უკრაინელი მოსახლეობისა და თავდაცვის ელექტრო ენერგიისა და ინტერნეტის გარეშე დატოვებაა, მაგალითად: Human Rights Watch-მა გამოაქვეყნა მონაცემები (Unver, 2022) უკრაინის საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი, გააანალიზა გადაუდებელი დახმარების სამსახურის, საპატრულო სამსახურისა და სახანძრო ბრიგადის ანგარიშები ამასთანავე გამოკითხა ენერგეტიკული კომპანიის, რამდენიმე ოფიციალური პირი, ადგილობრივი ხელისუფლება, კიბერ–ექსპერტები, კომპიუტერული მეცნიერების მუშაკები, მაშველები და მშვიდობიანი მოქალაქეები კიევში, ხარკოვში, ლვოვსა და ოდესაში და გამოარკვია, რომ მხოლოდ 2022 წლის ნოემბერსა და ოქტომბერში უკრაინის ენერგეტიკულმა ინფრასტრუქტურამ და სისტემამ რუსული მხარისგან განიცადა 92 ერთეული თავდასხმა, აქედან კი კიბერ–შემთხვევას 60–ზე მეტი განეკუთვნება.

საბოლოოდ კი რუსული კიბერ–მეთოდები, შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ერთ–ერთი მოქნილი საშუალება უკრაინასთან ომში. კვლევის აღნიშნულ ნაწილში გამოიკვეთა

ტენდენციები, რის მიხედვითაც: რუსული კიბერ–ომი უკრაინასთან მიმდინარეობს ომის დაწყების პირველივე დღიდან, შეტევათა უმრავლესობა მიმართულია სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებზე, რომლის მწყობრიდან გამოსვლაც, უკრაინაში შექმნის ერთგვარ ლოგისტიკურ კრიზისს. ამასთანავე საინტერესოა, ისიც რომ უკრაინაში, სამთავრობო კიბერ–შეტევები ხდებოდა ე.წ „არაზუსტი დამიზნების“ მოდელით, ეს კი როგორც ზემოთ ვახსენე, სამიზნე ობიექტთა რაოდენობას ცვლიდა. ამისდა მიუხედავად, ექსპერტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსული კიბერ–ომი უკრაინასთან წარუმატებელი იყო, მეტიც ზოგიერთის აზრით ამ ყველაფერს აკლდა კოორდინირება, რათა სტრუქტურირებული სახე ჰქონოდა. მაგალითად, უსაფრთხოების ექსპერტი, ჯეიმს.ა ლუისი, დაუფარავად აცხადებდა, რომ „რუსულ კიბერ–ომს უკრაინაში აკლდა კოორდინირება“ (Lewis, 2022).

დასკვნა

ტექნოლოგიათა საუკუნეში, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ყველაზე მეტია ვიდრე ოდესმე ყოფილა, გაჩნდა მოსაზრება რომლის მიხედვითაც: ინფორმაცია შეიძლება გახდეს ერთ–ერთი წამყვანი საბრძოლო საშუალება. ამის მიზეზი კი ცხადია მისი მასობრივი ხასიათია. შესაბამისად ინფორმაციის, როგორც საბრძოლო საშუალებად ჩამოყალიბება და გარდაქმნა აქტიურად მიმდინარეობს. მეტიც ბოლო პერიოდში იქმნება პოლიტიკური თეორიები და სამხედრო დოქტრინები, საინფორმაციო ომის დაგეგმვასთან და სტრატეგიათა. 2022 წლის 24 თებერვალში, რუსეთის უკრაინაში შეჭრისას, ყველაზე თვალშისაცემი სწორედ, რუსული საინფორმაციო ომი გახდა, ვინაიდან ომის საწყის ეტაპზე, რუსეთს ყველაზე მეტად „ომის ნისლოვანების“ შექმნა ესაჭიროებოდა.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა გამოერკვია რუსეთ–უკრაინის 2022 წლის ომში რა ხერხებით, მეთოდებითა და დამხმარე საშუალებებით ხდებოდა საინფორმაციო ომის წარმოება რუსული მხარისგან. ამასთანავე რუსული დეზინფორმაციის, პროპაგანდისა და კიბერ–თავდასხმათა შემთხვევების განხილვა და ანალიზი. საწყის ეტაპზე წამოყენებული იყო კვლევის მთავარი ვარაუდი, რომ 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საინფორმაციო ომის პროცესში ყველაზე ხშირად ხდებოდა დეზინფორმაციის გავრცელება და მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა. აღნიშნული ვარაუდის, ჰიპოთეზის ფორმულირება განპირობებული იყო იმ ცნობილი მოვლენებით, რაც 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ უკრაინაში ხდებოდა.

კვლევის შედეგად, ჩემი ვარაუდი, რუსულ საინფორმაციო ომთან მიმართებით დამტკიცდა. კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ რუსული სახელმწიფო უკრაინაში შეჭრის შემდეგ მასობრივად იყენებს საინფორმაციო ომს როგორც საბრძოლო საშუალებას. ამასთანავე საინფორმაციო ომის პირობებში, ყველაზე ხშირად გამოყენებადი საშუალებები აღმოჩნდა:

1. დეზინფორმაცია, რომელიც მოწინავეა რუსულ საინფორმაციო ომის პირობებში. აღნიშნული საშუალება მუშაობს, როგორც უკრაინაში ასევე რუსეთშიც, ვინაიდან რუსული ხელისუფლება უკრაინული „ნების დამორჩილების“ პარალელურად ცდილობს საკუთარ მოსახლეობაში, „სპეციალური სამხედრო ოპერაციისადმი“ კეთილგანწყობის მოპოვებას.
2. კიბერ–შეტევები, რომლებიც ემსახურებოდა მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტებისა და საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანას.

აღნიშნული 2 მეთოდი, უკრაინასთან ომში ქმნის ისეთ გარემოს სადაც შედარებით მარტივია, არაკონვენციური იარაღის გამოყენება რუსეთისათვის, ვინაიდან საინფორმაციო ომის პირობებში მეტად მარტივია, ყალბი ამბის გავრცელებით, რეალურის გადაფარვა.

ამასთანავე კვლევის პირობებში გამოიკვეთა, ერთი საინტერესო ფაქტი, რუსული დეზინფორმაცია ვრცელდება კონტექსტის შესაბამისად, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ყალბი ამბები მისი ნარატივის შესაბამისად გადანაწილებულია პროცენტული თვალსაზრისით. რუსული ხელისუფლება საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ავრცელებს ყალბ ინფორმაციათა შესაბამის ნარატივს, რაც გულისხმობს იმას, რომ დეზინფორმაციის სახეობათა გავრეცელბის როტაცია ხდება ომის პირობებში. კვლევა აჩვენებს იმასაც, რომ რუსული საინფორმაციო ომი იმის და მიუხედავდ, რომ მნიშვნელოვან დავალებას ასრულებს უკრაინასთან ომში, ყველაზე „სუსტი ბმული“ აღმოჩნდა რუსულ თავდასხმაში. ცხადია ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტია, უკრაინელი ხალხის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და მედიაწიგნიერება.

გამოყენებული ლიტერატურა

l, S. & Eckles, D. (2019). *Protecting elections from social media manipulation.* Science 365,.

Arpagian, N. (2022). Industroyer 2 : the Russian Cyberattack on Ukraine Infrastructure.

Bedenova, A. (2022). Another evacuation attempt is being made in Mariupol.

BERGENGRUEN, V. (22.02.2023). Inside the Kremlin's Year of Ukraine Propaganda. *TIME*.

Clausewitz., C. v. (2022). *on war.* Los angeles: LA CASE.

Coynash, H. (2021). Moscow's proxy 'republics' announce that Donbas is and always was 'Russian'.

cyber peace institute. (2022 წლის june). მოპოვებული https://cyberconflicts.cyberpeaceinstitute.org/law-and-policy/cases/viasat-დან

Echevarria, A. J. (2003). CLAUSEWITZ'S CENTER OF GRAVITY: It's Not What We Thought. *Naval War College Review*, pp. 108-123.

Echevarria. (2007). *Clausewitz and Contemporary War.* Oxford University Press.

Fernandez Gibaja, A. a. (2022). The Ukraine Crisis and the Struggle to Defend Democracy in Europe and Beyond: Rising Stakes in the Struggle for Democracy, International Institute for Democracy and Electoral Assistance,.

Geissler, D. (2023). *Russian propaganda on social media during the 2022.* Gieensen.

Hoffman, F. G. (2007 წლის DECEMBER). conflict in the 21st century: the rise of hybrid wars.

HRW.org. (2022). Russia: With War, Censorship Reaches New Heights.

Jakub, P. (2022). Russia's war on Ukraine: Timeline of cyber-attacks. *Think Tank.*

JON, B. (2022 წლის December). *Russia's Wartime Cyber Operations in Ukraine: Military Impacts, Influences, and Implications*. მოპოვებული https://carnegieendowment.org/2022/12/16/russia-s-wartime-cyber-operations-in-ukraine-military-impacts-influences-and-implications-pub-88657-დან

Lewis, J. A. (2022). Cyber War and Ukraine., (გვ. page:8.).

Libicki, M. C. (1995). *what is information warfare?* Oxford: National defense university.

Lipov, A. (2022). *Federal Service for Supervision of Communications, Information Technology and Mass Media.* მოპოვებული The Russian Goverment.-დან

Miyata, F. (2021). THE GRAND STRATEGY OF CARL VON CLAUSEWITZ. *U.S. Army War College* .

OECD. (2022). Disinformation and Russia's war of aggression against Ukraine.

Osinga, F. (2005). *Science, Strategy and War.* Taylor & Francis.

Pomerantsev Peter, Weiss Michael. (2014). *The menace of unreality : how the Kremlin weaponizes information, culture and money.* New York: Institute of Modern Russia (New York, N.Y.).

Ralph, P. (2020). *The war in 2020.*

Schulze, M. (2023). Cyber Operations in Russia's War against Ukraine.

SUNTZU. (2000). *on the art of war.* Allandale Online Publishing.

Union Council of the European. (2022). EU imposes sanctions on state-owned outlets RT/Russia Today and Sputnik's broadcasting in the EU.

Unver, A. (2022 წლის December). *Ukraine: Russian Attacks on Energy Grid Threaten Civilians*. მოპოვებული https://www.hrw.org/news/2022/12/06/ukraine-russian-attacks-energy-grid-threaten-civilians-დან

Ventre, D. (2011). *Cyberwar and information warfare.* London: ISTE ltd.

თევზაძე, დ. (2019 წლის 22 02). კლაუზევიცის დიდი ომის თეორია და დიდი ომის ჩიხი.

კორძახია. (2022). PRAVDA.RU-ს დეზინფორმაცია, თითქოს ბუჩაში გარდაცვლილებს არ მარხავენ და ტურისტულ სანახაობად იყენებენ. *mythdetector.ge*.

მაისაია, მაღრაძე. (2017). *21–ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია": მიტი და რეალობა– რეგიონალური და გლობალური ასპექტები.* თბილისი: უნივერსალი.

მაკიაველი, ნ. (2022). *Machiavelli niccolo.* Los angeles: LA CASE books.

მითების დეტექტორი. (2022). ვინ უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას საფრთხეს მარიუპოლში.

ქოქოშვილი, ქ. (2021). *საინფორმაციო ომი 21–ე საუკუნის გამოწვევა*. მოპოვებული YATA GEORGIA: http://articles.yata.ge/?p=488-დან

ყორშია, ბ. (29.092021). რა არის Deepfake და როგორ მუშაობს პროგრამა. *mtavari.tv*.

ინტერვიუს გზამკვლევი

1. როგორ ფიქრობთ, საბრძოლო საშუალებებში რა ადგილი უკავია ჰიბრიდულ ომს?

2. თქვენი აზრით რატომ გახდა საინფორმაციო ომი ასეთი აქტიური, ბოლო პერიოდში?

3. რას იტყვით აღწევს თუ არა საინფორმაციო ომი საზოგადოების ყველა ფენაში?

4. როგორია თქვენი აზრი, რუსეთიდან წამოსულ საინფორმაციო ომის შესახებ, უკრაინაის მიმართულებით?

5. თქვენი აზრით, როგორ შეუძლია სახელმწიფოს უკუაგდოს მისკენ მიმართული საინფორმაციო ომი?

6. რასიტყვით, რამდენად მასშტაბური სახე აქვს საინფორმაციო ომის გამოყენებას რუსულ სამხედრო პოლიტიკაში, უკრაინაში შეჭრის შემდეგ.

7. როგორ ფიქრობთ, საინფორმაციო ომის რა ხერხებს და მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას რუსეთი, უკრაინაში შეჭრის შემდეგ?

8. რომელ „საინფორმაციო ოპერაციას“ გაიხსენებდით უკრაინაში, რომელიც ღიაად იყო რუსული მხარისგან წარმოებული?

9. როგორ ფიქრობთ, არის საინფორმაციო საშუალება, შედეგის მომტანი საბრძოლო ხერხი, ზემოთ ნახსენებ პერიოდის ფარგლებში?

10. რამეს ხომ არ დაამატებდით?